საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-146

19/02/2020

ქ. თბილისი

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგოს“ 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი’’-ს (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბანი’’-ს გაორჯაჭვიანება) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგოს“ 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი’’-ს (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბანი’’-ს გაორჯაჭვიანება) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N16 (11.02.2020 წ.);
2. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგომ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N16 (11.02.2020 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი